დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 31 მაისი**

დისციპლინური საქმე №88/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- წარმომადგენლის -- -- 2023 წლის 8 მაისის №88 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 8 მაისის №304/88-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას. ამასთან, აცხადებს, რომ მოსამართლემ ნაწილობრივ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რითაც მოსარჩელე დატოვა უზრუნველყოფის გარეშე.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2018 წლის 24 დეკემბერს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2019 წლის 22 მაისს და 26 აგვისტოს მოსარჩელემ მოპასუხეების - -- -- მიმართ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2019 წლის 18 თებერვალს, 23 სექტემბერს, 16 ოქტომბერს და 2020 წლის 3 თებერვალს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2019 წლის 4 მარტს, 18 მარტს, 8 მაისს, 18 დეკემბერს, 2020 წლის 23 იანვარს, 28 თებერვალს, 26 ივნისს, 7 ივლისი და 24 ივლისს.

2020 წლის 24 ივლისს სასამართლო მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

2020 წლის 10 აგვისტოს მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება წარადგინა სასამართლოში. 11 აგვისტოს სასამართლომ მიიღო განჩინება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე. აღნიშნული განჩინების გაუქმების მიზნით მოსარჩელემ 12 აგვისტოს საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 14

აგვისტოს სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ.

2022 წლის 8 თებერვალს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება -- -- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2020 წლის 5 ოქტომბერს -- -- გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმების მიზნით საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 23 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლოს განჩინებით ნაწილობრივ გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება.

2022 წლის 8 თებერვალს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება -- -- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2020 წლის 24 ნოემბერს მოსარჩელე მხარემ -- საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 ოქტომბრის საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გაუქმების მიზნით საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 16 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და საჩივრის საქმის მასალებთან ერთად ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ.

2.2. 2020 წლის 4 და 7 სექტემბერს და 2021 წლის 18 იანვარს მხარეებმა სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში. ხოლო, 2021 წლის 18 თებერვალს აპელანტმა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 18 ნოემბერს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება -- -- სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2.3. 2021 წლის 23 დეკემბერს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2022 წლის 28 ივნისს -- უზენაესმა სასამართლომ მიიღო განჩინება -- -- საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო

სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

აღნიშნული კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეს ანიჭებს უფლებას მოითხოვონ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რათა ხელი არ შეეშალოს ანდა შეუძლებელი არ გახდეს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება. კერძოდ, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1] მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის გათვალისწინებული წესების თანახმად. თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 11 აგვისტოს მიიღო განჩინება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. რის შემდგომაც აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა მოპასუხე მხარემ. მოსამართლემ განიხილა წარდგენილი საჩივარი და მიიღო განჩინება საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად სრულად/ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს მხარის საჩივარი. ამდენად, განჩინების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

რაც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და კანონის შესაბამისად, შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, კანონის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება.

შესაბამისად, კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[10] მუხლის მე-5 პუნქტით, 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

შეწყდეს -- -- წარმომადგენლის -- -- 2023 წლის 8 მაისის №88 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი